



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030179651283520

№ 01-43/თ

07 / თებერვალი / 2020 წ.

„მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით გასატარებელ დროებით ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 31 იანვრის № 01-34/ თ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

მუხლი 1. „მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით გასატარებელ დროებით ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 31 იანვრის № 01-34/ თ ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პროცესების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ ცენტრალური აპარატი და ტერიტორიული ერთეულები გამოყენებულ იქნეს ზრუნვის სააგენტოს საქმისწარმოების მიზნებისათვის. კერძოდ, დაევალოს სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ ზრუნვის სააგენტოსთან შეთანხმებით (კოორდინაციით) განსაზღვროს ცენტრალური აპარატის თანამშრომლები და შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები/თანამშრომლები დოკუმენტაციის მიღებისა და მისი ზრუნვის სააგენტოსთვის გადაცემის მიზნით (სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სახელზე შემოსული კორესპონდენციის მიღება/გატარება, დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ პროგრამაში ატვირთვა, გადაგზავნა და შესაბამისი მატერიალური სახის დოკუმენტების (დედნები, დანართები და სხვა) სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს შესაბამის პასუხისმგებელი პირ(ებ)ისათვის გადაცემა).“.

მუხლი 2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელემენტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე